

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

ევროპის საბჭოს მიერ 2011 წლის 11 მაისს მიღებულ იქნა კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (ე.წ. სტამბოლის კონვენცია). აღნიშნულ კონვენციას საქართველომ ხელი მოაწერა 2014 წლის 19 ივნისს და რატიფიკაცია მოახდინა 2017 წლის აპრილში, რასაც, სტამბოლის კონვენციის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მოჰყვა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებები. მათ შორის აღსანიშნავია 2017-2019 წლებში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის მიხედვით “ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფეროში მოექცა გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირების და მსხვერპლთა დაცვის/დახმარების საკითხებიც და შესაბამისად მოხდა საქართველოს კანონის სათაურის ცვლილებაც და ჩამოყალიბდა როგორც „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი. შესაბამისად, კანონის მოქმედების სფერომ მოიცვა არამარტო ოჯახის ფარგლები, არამედ, ზოგადად, გენდერული ნიშნით ქალის მიმართ გამოვლენილი ძალადობაც ოჯახის ფარგლებს გარეთ - იქნება ეს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში. ხოლო დაცვის, დახმარებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები მიემართა ასევე გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლსაც. მითითებულ წლებში, ასევე, გადაიხედა და სტამბოლის კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად დარეგულირდა მთელი რიგი საკითხები როგორც ზემოაღნიშნულ კანონში, ასევე სხვა სამართლებრივ აქტებში, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა დაცვის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას სტამბოლის კონვენციასთან.

მიუხედავად კანონმდებლობის დონეზე განხორციელებული არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილებისა, დღეს გამოწვევად რჩება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მიერ მხარდაჭერის მომსახურებების, მათ შორის, თავშესაფრის, ხელმისაწვდომობა. აღსანიშნავია, რომ მსხვერპლის სტატუსის არსებობა

პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო სერვისებით სარგებლობასთან, ხოლო სახელმწიფო თავშესაფრით სარგებლობისთვის მსხვერპლის სტატუსის არსებობა ძირითადი წინაპირობაა და მის გარეშე პირისთვის სახელმწიფო თავშესაფრის სერვისის მიწოდება არ ხდება.

ძალადობის მსხვერპლთათვის და ძალადობაგანცდილი ადამიანებისათვის, განსაკუთრებით კი ასეთი ქალებისა და გოგონებისათვის, მხარდაჭერის სერვისების მნიშვნელობასა და საჭიროებაზე არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი ამახვილებს ყურადღებას და შესაბამისად, სახელმწიფოებს ავალდებულებს ასეთი სერვისების როგორც შექმნას, ასევე ამ სერვისებზე ადვილად/შეუფერხებლად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. სტამბოლის კონვენცია ხაზგასმით მიუთითებს, რომ “მომსახურების გაწევა არ არის დამოკიდებული მსხვერპლის მზადყოფნაზე, ბრალი წაუყენოს ან ჩვენება მისცეს ძალადობის აქტების ჩამდენი პირების წინააღმდეგ” (მუხლი 18, პუნქტი 4.). შესაბამისად, ჩვენი კანონმდებლობის სტამბოლის კონვენციის დებულებებთან უფრო მეტად ჰარმონიზების მიზნით და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია იმ საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება, რაც უკავშირდება მსხვერპლების მიერ მხარდაჭერის სერვისებით, მათ შორის, თავშესაფრით/კრიზისული ცენტრით სარგებლობისთვის დღეს არსებული ბარიერების დაძლევის/აღმოფხვრას, რის შემდეგაც მხარდაჭერის სერვისებით, მათ შორის თავშესაფრით, სარგებლობა შეუფერხებელი და ადვილად ხელმისაწვდომი გახდება ძალადობის მსხვერპლებისთვის, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო სრულად გაიზიარებს საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებულ ვალდებულებებს მხარდაჭერის სერვისების ადვილად და შეუფერხებლად ხელმისაწვდომობის კუთხით.

წარმოდგენილი ცვლილებები ასევე შეეხება ოჯახის წევრის ცნების გაფართოებას კანონის მიზნებისთვის და მასში ინტიმური პარტნიორების გათვალისწინებასაც. აღნიშნულიც უკავშირდება სტამბოლის კონვენციის დანაწესს, რომლის თანახმადაც „ოჯახში ძალადობა“ გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომლებიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა.“ (მუხლი 3, პუნქტი „ბ“). სტამბოლის კონვენციაში „პარტნიორი“ გვხვდება ყველა იმ კონტექსტში, სადაც საუბერია მეუღლეებზე/ყოფილ მეუღლეებზე და პარტნიორი განიხილება ოჯახის წევრად. „ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას“¹, რომელიც მძიმედ აისახება ქალების ცხოვრების ხარისხზე. ხოლო ოჯახში ძალადობის კონტექსტში მოიაზრებს არა მხოლოდ ქორწინებაში მყოფ პირებს, არამედ პირებს, რომლებიც ერთმანეთთან არიან ინტიმურ ურთიერთობაში, რაც გულისხმობს რომანტიკულ ან/და სქესობრივ

¹ The global lifetime prevalence of intimate partner violence among ever-partnered women is 30.0% (95% CI = 27.8% to 32.2%). - Global and regional estimates of violence against women: prevalence and health effects of intimate partner violence and non-partner sexual violence, World Health Organization, 2013, page:16.

ურთიერთობას. სტამბოლის კონვენცია პარტნიორული ურთიერთობისთვის არ განიხილავს ერთ ჭერქვეშ ცხოვრების აუცილებლობას, პირიქით, მიუთითებს, რომ ერთ საცხოვრებელში ცხოვრება არ არის აუცილებელი, რომ ეს პირები განვიხილოთ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის, ასევე მსხვერპლთა დაცვის მიზნებისთვის ქორწინებაში მყოფი პირების თანასწორად. სტამბოლის კონვენციის ყველა ის ნორმა, რომელიც მიემართება მეუღლეებს, მიემართება პარტნიორებსაც. ეს ორი ტერმინი მთელ ტექსტში გვეხვდება ერთად, ასე, მაგალითად: მეუღლის ან პარტნიორის მიმართ; მეუღლეებსა ან პარტნიორებს შორის; ყოფილი ან ამჟამინდელი მეუღლის ან პარტნიორის მიერ... ამდენად, სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებულ დებულებებთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზება იმ ნორმების აღიარებასაც გულისხმობს, რაც ეროვნულ დონეზე არ გვაქვს და აღნიშნული მიემართება „ინტიმურ პარტნიორსაც“, რომელიც არცერთი საკანონმდებლო აქტით არ განიმარტება. შესაბამისად, მათ არ განიხილავს ოჯახის წევრად და მათზე არ ვრცელდება პრევენციული მექანიზმები (შემაკავებელი და დამცავი ორდერები).

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) ინტიმური პარტნიორს განმარტავს შემდეგნაირად: „ინტიმური პარტნიორი: ქმარი, თანამცხოვრები პარტნიორი, მეგობარი ბიჭი ან შეყვარებული, ან ყოფილი ქმარი, ყოფილი პარტნიორი, ყოფილი მეგობარი ბიჭი ან ყოფილი შეყვარებული.“ (ინტიმური პარტნიორის განმარტება მერყეობს გარემოებებსა და კვლევებს შორის და მოიცავს როგორც ფორმალურ პარტნიორობას, როგორცაა ქორწინება, ასევე არაფორმალურ პარტნიორობას, მათ შორის თანაცხოვრებას, გაცნობის ურთიერთობებს და ქორწინების გარეშე სქესობრივ ურთიერთობებს. ზოგიერთ გარემოებაში ინტიმური პარტნიორები დაქორწინების ტენდენციით გვხვდება, ხოლო უფრო ხშირად კი არაფორმალური პარტნიორობაა სახეზე.)²

ამდენად, პროექტით წარმოდგენილი „ინტიმური პარტნიორის“ განმარტება სრულად ეფუძნება ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებას. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ პროექტით წარმოდგენილი განმარტება აღარ იმეორებს „მეუღლეს“/“ყოფილ მეუღლეს“, რომელიც უკვე გვაქვს და „თანამცხოვრებ პარტნიორს“, რომელიც იდენტურია ტერმინისა, „პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას“. რადგანაც „ოჯახის წევრის“ განმარტება უკვე ითვალისწინებს ამ ტერმინებს, პროექტით წარმოდგენილი „ინტიმური პარტნიორის“ განმარტება აღარ იმეორებს მათ და აქცენტს აკეთებს ქორწინებისა და თანაცხოვრების გარეშე ინტიმურ ურთიერთობებზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინტიმური პარტნიორი წარმოდგენილი პროექტის მიხედვით არ მოიაზრებს არც ქორწინებაში/არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ წყვილს და არც პირებს, რომლებიც ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას. ვინაიდან, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფად მიიჩნევა წყვილი, რომელიც თანაცხოვრობს გარკვეული პერიოდის განმავლობაში

² https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/85240/9789241548595_eng.pdf?sequence=1

და ერთიან საოჯახო მეურნეობას ეწევა. ამასთანავე, აღნიშნული ტერმინი ეტიმოლოგიურად ქორწინებასთან არის დაკავშირებული. მეორე ტერმინიც - „სხვა პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას“ მოიაზრებს პირებს, რომლებიც თანაცხოვრობენ/თანაცხოვრობდნენ და ერთიანი საოჯახო მეურნეობა გააჩნიათ/გააჩნდათ. ხოლო რაც შეეხება „ინტიმური პარტნიორების“ განმარტებას, რომელიც კანონპროექტით არის წარმოდგენილი, მოიაზრებს პირებს, რომლებიც არ იმყოფებიან/იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ან არარეგისტრირებულ ქორწინებაში, არ ეწევიან/ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას, თუმცა არიან ან იყვნენ ინტიმურ ურთიერთობაში, რაც მოიცავს რომანტიკულ ან/და სქესობრივ ურთიერთობას. რომანტიკული ურთიერთობისას წყვილს/პარტნიორებს ერთმანეთთან აქვთ (ჰქონდათ) რეგულარული კონტაქტი, ემოციური კავშირი, ამ დროს პირები ხასიათდებიან წყვილის იდენტურობით, იციან ერთმანეთის ცხოვრების შესახებ, აქვთ ფიზიკური ან/და სქესობრივი ურთიერთობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტიმურ პარტნიორებად განიხილებიან ასევე პირები, რომლებსაც ერთმანეთის მიმართ არ აქვთ რომანტიკული დამოკიდებულება, მაგრამ არიან ინტიმურ ურთიერთობაში.

ოჯახის წევრის ცნებაში ინტიმური პარტნიორების დამატებით უზრუნველყოფთ იმ პირთა დაცვასა და მხარდაჭერას, რომლებიც არ ექცევიან მოქმედი კანონის მოქმედების ფარგლებში და ამით კიდევ უფრო დავუახლოვებთ კანონის ნორმებს სტამბოლის კონვენციას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

სახელმწიფო სერვისებით, მათ შორის, თავშესაფრით სარგებლობისთვის აუცილებელი წინაპირობაა მსხვერპლის/დაზარალებულის სტატუსის არსებობა, რაც, ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს ამ სერვისის საჭიროების მქონე ძალადობაგანცდილი ადამიანისთვის. შესაბამისად, თავშესაფრის საჭიროების შემთხვევაში, ძალადობაგანცდილი ადამიანი იძულებულია სტატუსის მოსაპოვებლად დაიწყოს მისთვის მისაღები გზების ძიება და მხოლოდ ამ სტატუსის დადგენის შემთხვევაში მოიპოვოს თავშესაფრის სერვისით სარგებლობის უფლება, რამაც, სტატუსის მოპოვების პროცესში, შეიძლება, მისი მეორეული ვიქტიმიზაციაც კი გამოიწვიოს და საერთოდ დაუკარგოს რწმენა სახელმწიფო ინსტიტუტების/ორგანოების მიმართ. ასევე, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოპოვებული სტატუსის მოქმედების ვადა ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისი რეაბილიტაციისთვის, რაც ძალადობაგანცდილ ადამიანს რეაბილიტაციის პროცესში აიძულებს იფიქროს/იზრუნოს სტატუსის ვადის გაგრძელებაზე ან ხელახლა მოპოვებაზე, რათა სტატუსის ვადის შესაბამისად მოხდეს მისთვის თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის სერვისით სარგებლობის ვადის გაგრძელება. აღნიშნული პროცედურები კი არცთუ ისე მარტივი და უმტკივნეულოა ძალადობაგანცდილი ადამიანისთვის - არის რისკი იმისა, რომ მან განიცადოს მეორეული ან ხელახალი ვიქტიმიზაცია.

კანონის დღეს მოქმედი რედაქციით „მსხვერპლი“ განმარტებულია, როგორც „ქალი, აგრეთვე ოჯახის ნებისმიერი წევრი, რომელთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულბელებით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობით ან იძულებით და რომლებსაც მსხვერპლის

სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი). მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე არასრულწლოვანი, რომლის კანონიერი ინტერესები უგულვებელყოფილია და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა. ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და მე-3 პუნქტის მე-2 წინადადების, 142 მუხლის, მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და მე-6 პუნქტის მიზნებისთვის მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე არასრულწლოვანი, რომელიც სამართლებრივი აქტის ან სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების საფუძველზე ან მათ გარეშე ფაქტობრივად იმყოფება/ცხოვრობს სხვა პასუხისმგებელ პირთან ან ნებისმიერ სხვა პირთან, რომელმაც დაარღვია მისი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით, და რომელიც მოძალადისგან სოციალურმა მუშაკმა განაცალკევა. მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე ბავშვი, რომელიც ძალადობის მოწმეა”, ხოლო მსხვერპლის სტატუსის მინიჭებას “ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოფენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები, საგამომიებო ორგანოები, სასამართლო და მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი. კანონი უთითებს, რომ თავშესაფრის მომსახურებით სარგებლობა შეუძლია მსხვერპლს და შესაბამისად, პირს, რომელიც თავს მსხვერპლად მიიჩნევს, უნდა ჰქონდეს მინიჭებული მსხვერპლის სტატუსი. კანონი ასევე განმარტავს „სავარაუდო მსხვერპლის“ ცნებას და ადგენს, რომ სავარაუდო მსხვერპლი არის „პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ არის მსხვერპლი, და რომელიც მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის მიზნით შესაბამის სამსახურს/ორგანოს/მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფს მიმართავს“ (მუხლი 4, „ვ¹“ ქვეპუნქტი). მოქმედი კანონი განსაკუთრებით უსვამს ხაზს მსხვერპლის სტატუსის არსებობის მნიშვნელობას და ეს ვრცელდება მომსახურების მიწოდების ნაწილშიც. შესაბამისად, სტამბოლის კონვენციის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ ასეთი მიდგომა შეიცვალოს და მომსახურებების მიწოდება მსხვერპლებისთვის უზრუნველყოფილ იქნეს მარტივად, სწრაფად და შეუფერხებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმისათვის, რომ თავშესაფრით და მხარდაჭერის სხვა მომსახურებებით სარგებლობისთვის ძალადობაგამოვლილმა ადამიანმა, იგივე მსხვერპლმა, მარტივად და შეუფერხებლად მიიღოს მომსახურება, მნიშვნელოვანია შესაბამისი ცვლილების შეტანა კანონში.

კანონპროექტით ცვლილება შედის „ოჯახის წევრის“ განმარტებაშიც, რომელიც ფართოვდება და ემატება ინტიმური პარტნიორები. აღსანიშნავია, რომ ტერმინი „ინტიმური პარტნიორი“ არცერთი საკანონმდებლო აქტით არ განიმარტება, შესაბამისად, წარმოდგენილი კანონპროექტი შეეცადა, კანონის მიზნებისთვის, წარმოედგინა „ინტიმური

პარტნიორების“ განსაზღვრება, რათა კანონით გათვალისწინებული პრევენციული მექანიზმები და დაცვის/დახმარების ღონისძიებები მათთვისაც ყოფილიყო ხელმისაწვდომი და კანონის მოქმედება მათზეც გავრცელებულიყო. როგორც ზემოთ მივუთითეთ, სტამბოლის კონვენციაც პარტნიორს განიხილავს ოჯახის კონტექსტში. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ინტიმურ პარტნიორებში არ მოიაზრება არც ქორწინებაში/არარეგისტრირებულ ქორწინებაში მქოფი წყვილი და არც პირები, რომლებიც ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას. ვინაიდან, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფად მიიჩნევა წყვილი, რომელიც თანაცხოვრობს გარკვეული პერიოდის განმავლობაში და ერთიან საოჯახო მეურნეობას ეწევა (ტერმინი ეტიმოლოგიურად ქორწინებასთან არის დაკავშირებული). მეორე ტერმინიც - „სხვა პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას“ მოიაზრებს პირებს, რომლებიც თანაცხოვრობენ/თანაცხოვრობდნენ და ერთიანი საოჯახო მეურნეობა გააჩნიათ/გააჩნდათ. ხოლო კანონპროექტით წარმოდგენილი „ინტიმური პარტნიორების“ განმარტება მოიაზრებს პირებს, რომლებიც არ იმყოფებიან/იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ან არარეგისტრირებულ ქორწინებაში, არ ეწევიან/ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას, თუმცა არიან ან იყვნენ ინტიმურ ურთიერთობაში, რაც მოიცავს რომანტიკულ ან/და სქესობრივ ურთიერთობას. ოჯახის წევრის ცნებაში ინტიმური პარტნიორების დამატებით უზრუნველყოფთ იმ პირთა დაცვასა და მხარდაჭერას, რომლებიც არ ექცევიან მოქმედი კანონის მოქმედების ფარგლებში და ამით კიდევ უფრო დავუახლოვებთ კანონის ნორმებს სტამბოლის კონვენციას.

მიუხედავად საკანონმდებლო დონეზე ინტიმური პარტნიორის განმარტების არარსებობისა, სხვადასხვა სამართლებრივ აქტში უკვე გვხვდება ეს ტერმინი, მაგალითად, ასეთია: „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 13 ივლისი №81 ბრძანება. კერძოდ, ამ ბრძანებით დამტკიცებული შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმა (დანართი 2) ითვალისწინებს აღნიშნულ ტერმინს. ასევე, მივუთითებთ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ნოემბრის N 2328 განკარგულებით დამტკიცებული „მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტზე“, რომლის მე-5 მიზანს წარმოადგენს „გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება“. სწორედ აღნიშნული მიზნის ფარგლებში/თავში გვხვდება ტერმინი ინტიმურ პარტნიორი. „პარტნიორს“ იცნობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის N 108/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი“, კერძოდ, გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის/სექსუალური ძალადობის დოკუმენტირების ფორმა №IV-300/ზ (დანართი 1¹) და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს N 41/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი“, კერძოდ, გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის/სექსუალური ძალადობის

დოკუმენტირების ფორმა №IV-200-5/ზ (დანართი 6¹). ამდენად, მიზანშეწონილია, ინტიმური პარტნიორის განმარტება საკანონმდებლო დონეზე იყოს რეგულირებული.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

იმის გათვალისწინებით, რომ კანონპროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის გაძლიერება და სახელმწიფო მომსახურებებით, მათ შორის, სახელმწიფო თავშესაფრით სარგებლობისთვის არსებული გამოწვევის/ბარიერის დაძლევა, წარმოდგენილი კანონპროექტით მიღწეულ იქნება ეს შედეგი. ასევე, სტამბოლის კონვენციის რატიფიკაციასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ გამოხატული ნების თანახმად, უზრუნველყოფილ იქნება საქართველოს კანონმდებლობის კონვენციის დებულებებთან შესაბამისობა - მსხვერპლების მიერ მხარდაჭერის სერვისებით მარტივად და შეუფერხებლად სარგებლობა (ბარიერების გარეშე).

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

სტამბოლის კონვენციასთან შესაბამისობის მიზნით წარმოდგენილი კანონპროექტით ძირითადად ახლებურად რეგულირდება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მიერ სახელმწიფო მომსახურებებით, მათ შორის თავშესაფრით/კრიზისული ცენტრით, სარგებლობის საკითხი, რაც გულისხმობს „მსხვერპლის სტატუსის“ არსებობის წინაპირობის გაუქმებას მომსახურებებით სარგებლობის საჭიროებისას. შესაბამისად, იცვლება „მსხვერპლის“ განმარტება და ის ყალიბდება როგორც „ქალი, აგრეთვე ოჯახის ნებისმიერი წევრი, რომელთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობით ან იძულებით. მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე არასრულწლოვანი, რომლის კანონიერი ინტერესები უგულვებელყოფილია. ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და მე-3 პუნქტის მე-2 წინადადების, 14² მუხლის, მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და მე-6 პუნქტის მიზნებისთვის მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე არასრულწლოვანი, რომელიც სამართლებრივი აქტის ან სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების საფუძველზე ან მათ გარეშე ფაქტობრივად იმყოფება/ცხოვრობს სხვა პასუხისმგებელ პირთან ან ნებისმიერ სხვა პირთან, რომელმაც დაარღვია მისი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით, და რომელიც მოძალადისგან სოციალურმა მუშაკმა განაცალკევა. მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე ბავშვი, რომელიც ძალადობის მოწმეა“. განმარტებიდან ამოღებულია წინადადება “და რომლებსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა (შემდგომ – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი)”. „მსხვერპლის“ ახალი რედაქციით ჩამოყალიბებით დღის წესრიგიდან იხსნება „სავარაუდო მსხვერპლის“ ტერმინის საჭიროებაც და შესაბამისად, კანონპროექტი ითვალისწინებს მის

ამოღებას. ცვლილება შედის თავშესაფრის და კრიზისული ცენტრის როგორც განმარტებებში, ასევე კანონის იმ მუხლებში, რომლებიც თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის ფუნქციონირების/საქმიანობის საკითხებს ეხება (მუხლები: 17², 18¹, 18²). კანონპროექტით თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის მომსახურების მიმწოდებელი თავად განსაზღვრავს კრიტერიუმებს ან/და შეიმუშავებს სპეციალურ ინსტრუმენტს (მაგალითად, რისკებისა და საჭიროებების ინსტრუმენტი), რომლის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას მომსახურების მიწოდების ან მიწოდებაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული ინსტრუმენტით თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის მომსახურების მიმწოდებელი დაადგენს პირის მიმართ ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი ძალადობას, შეაფასებს რისკებს და გამოკვეთს საჭიროებებს. კანონპროექტი, სტამბოლის კონვენციის მსგავსად, ასევე ითვალისწინებს მხარდაჭერის სამსახურის/მომსახურების განმარტებასაც და ამ მიზნით ყალიბდება ახალი მუხლი. კანონპროექტი მომსახურებებთან (თავშესაფარი, კრიზისული ცენტრი, მხარდაჭერის სხვა მომსახურება) დაკავშირებით ერთმნიშვნელოვნად განმარტავს, რომ „...მომსახურების მიწოდება არ არის დამოკიდებული მსხვერპლის მზადყოფნაზე, ითანამშრომლოს სამართალდამცავ/პროკურატურის ან/და სასამართლო ორგანოებთან ძალადობის აქტების ჩამდენი პირების წინააღმდეგ.“

კანონპროექტით ასევე იცვლება „ოჯახის წევრის“ განმარტება და პირთა წრეს ემატება ინტიმური პარტნიორი, რომელიც მოიაზრებს პირებს, რომლებიც არ იმყოფებიან/იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ან არარეგისტრირებულ ქორწინებაში, არ ეწვეიან/ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას, თუმცა არიან ან იყვნენ ინტიმურ ურთიერთობაში, რაც მოიცავს რომანტიკულ ან/და სქესობრივ ურთიერთობას.

გარდა ამისა, კანონპროექტის მიხედვით კანონს ემატება ნორმები, რომლის მიხედვით განისაზღვრება მუნიციპალიტეტების უფლებამოსილება, მონაწილეობა მიიღონ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელ როგორც პრევენციული ხასიათის, ასევე მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებებში.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული კანონპროექტი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის პირველი მუხლით წარმოდგენილი ძირითადი დებულებები/ცვლილებები ამოქმედდება 2022 წლის 1 სექტემბრიდან, ხოლო ამ ცვლილებების საჭირო ღონისძიებებისთვის, რაც მოიაზრებს სხვადასხვა სამართლებრივი აქტის კანონთან შესაბამისობაში მოყვანას და რასაც ითვალისწინებს კანონპროექტის მე-2 მუხლი, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კანონპროექტის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2023 წლის 2 იანვარი, ვინაიდან „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ (სარეგისტრაციო კოდი 080080050.05.001.020484) საქართველოს კანონის თანახმად, კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის ამოქმედების ვადა არის 2023 წლის 1 იანვრიდან. შესაბამისად, სწორედ ხსენებულ კანონის გათვალისწინებით მოხდა ვადის განსაზღვრა წარმოდგენილი კანონპროექტის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან მიმართებაში.

ა.ვ) კანონის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზი და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის განხილვა და მიღება უნდა მოხდეს შემჭიდროებულ ვადებში, დაჩქარებული წესით, რაც განპირობებული შემდეგი გარემოებით:

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფმა (შემდგომში „გრევიო“), რომელიც ახორციელებს მხარეების მიერ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის შესრულების მონიტორინგს, საქართველოს ეროვნული ანგარიშის მონიტორინგისა და ადგილზე სიტუაციის შეფასების მიზნით, საქართველოში ვიზიტი განახორციელა 2021 წლის 8-12 ნოემბერს. ვიზიტის ფარგლებში „გრევიო“ შეხვდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ბრძოლის/პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვის მიმართულებით მომუშავე ყველა სახელმწიფო უწყებასა და საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდგომ, 2021 წლის 12 ნოემბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში „გრევიოს“ წარმომადგენლებმა პირველადი დაკვირვების შედეგები წარმოადგინეს. აღნიშნულ შეხვედრაზე სერიოზულ გამოწვევად იდენტიფიცირდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ე.წ. მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრისთვის/დადგენისთვის მოქმედი სამართლებრივი რეგულაციები და საჭირო ღონისძიებად ჩაითვალა ასეთი რეგულაციების გაუქმება. ამასთან, „გრევიოს“ წარმომადგენელთა მხრიდან გაჟღერდა, რომ საქართველოს ეროვნულ ანგარიშზე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას დასჭირდება გარკვეული დრო და სავარაუდოდ, 2022 წლის ბოლოსთვის წარედგინება საქართველოს მთავრობას. ხოლო რეკომენდაციების მიღებამდე საქართველოს მთავრობას კვლავ აქვს შესაძლებლობა, რომ „გრევიოს“ მიაწოდოს ინფორმაცია იმ მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და მიღწეული პროგრესის შესახებ, რასაც ამ პერიოდში (რეკომენდაციების მიღებამდე) განახორციელებს/მიაღწევს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია წარმოდგენილი კანონპროექტის განხილვა და მიღება მოხდეს შემჭიდროებულ ვადებში, რათა „გრევიოს“ მიერ რეკომენდაციების შემუშავებამდე განხორციელდეს მათი ინფორმირება მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ, რაც უკავშირდება ე.წ. „მსხვერპლის სტატუსის“ გაუქმებას. ამასთან, ასევე მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობას ჰქონდეს საკმარისი დრო სამართლებრივი აქტების

კანონთან შესაბამისობაში მოსაყვანად და სრულად მომზადებული შეხვედეს ახალ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც ამოქმედდება 2022 წლის 1 სექტემბრიდან.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი. ხოლო მუნიციპალიტეტის მიერ კანონპროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისას, რაც შეიძლება ითვალისწინებდეს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიმართულებით ახალი მიზნობრივი პროგრამის ან/და მხარდაჭერის მომსახურების შექმნას, დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე გავლენას, ვინაიდან კანონპროექტით მუნიციპალიტეტის ორგანოებს ენიჭებათ უფლებამოსილება, მონაწილეობა მიიღონ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელ როგორც პრევენციული ხასიათის, ასევე მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებებში, რაც შეიძლება ითვალისწინებდეს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიმართულებით ახალი მიზნობრივი პროგრამის ან/და მხარდაჭერის მომსახურების შექმნას, უნდა დაფინანსდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, რაც გავლენას მოახდენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედი რედაქციაც ითვალისწინებს (აღნიშნული პუნქტი რჩება უცვლელი) მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებას, რომ განახორციელონ ღონისძიებები, რომლებიც მიემართება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციას, ქალთა

მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებას. შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებით მუნიციპალიტეტებისთვის ახალი უფლებამოსილების დამატება არ ხდება. მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე გავლენა კანონპროექტს, თუ მუნიციპალიტეტი შეიმუშავებს ახალ მიზნობრივ პროგრამას ან შექმნის მხარდაჭერის მომსახურებას.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე კანონპროექტის გავლენის შესაფასებლად შევსებით კანონპროექტით გათვალისწინებულ ძირითად საკითხებს:

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული სახელმწიფო თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები ფუნქციონირებს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (შემდგომში სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო) სისტემაში. შესაბამისად, ფინანსდება სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ თავშესაფრების სადღეღამისო მომსახურებას აწვდიან ძალადობის მსხვერპლებს და შესაბამისად, თავშესაფრის გარემო/საცხოვრებელი ითვისალისწინებს საწოლებს. საწოლებით ხდება ადგილების განსაზღვრა/დათვლა თავშესაფარში (თუმცა, უნდა აღინიშნოს ასევე, რომ თავისუფალი საწოლი ყოველთვის არ ნიშნავს, რომ შესაძლებელია ახალი ბენეფიციარის მიღება. უმეტეს შემთხვევაში თავშესაფრით სარგებლობს დედა შვილთან/შვილებთან ერთად და მათი განთავსება ხდება ცალკე/თავისუფალ ოთახში და ოთახში ბენეფიციარების განთავსებისას, თუ დარჩება თავისუფალი საწოლი, არის ალბათობა იმისა, რომ არ მოხდეს უცხო პირის შეყვანა). ამიტომ ადგილები ლიმიტირებულია. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო დღესდღეობით მართავს 5 თავშესაფარს და ადგილების რაოდენობა ხუთივე თავშესაფარში ჯამში არ აღემატება 85-ს (საწოლების მიხედვით). ბოლო 2-3 წლის განმავლობაში თავშესაფრები მეტწილად სრული დატვირთვით ფუნქციონირებენ. კანონპროექტის მიღების შემდგომ შესაძლოა გაიზარდოს სააგენტოსადმი მიმართვიანობა. არსებული რესურსის ფონზე კი აღნიშნული გამოიწვევს დამატებითი რესურსების მოძიების საჭიროებას. გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება ბენეფიციართა რაოდენობაზე და ასევე გაზრდილი მომართვიანობის ფონზე მათი თავშესაფრით უზრუნველყოფისათვის საჭირო შესაბამის რესურსებზე. (მ.შ. თავშესაფრით უზრუნველყოფის ხარჯი) სააგენტოს ინფორმაციით, დღევანდელი მდგომარეობით არსებული რესურსების პირობებში, თავშესაფარში ერთი ბენეფიციარის ერთი დღე-ღამის ხარჯი საშუალოდ არის 38 ლარი. რაც შეეხება კრიზისულ ცენტრებს, 5-დან 4 კრიზისული ცენტრი მომსახურებების მიწოდებას უზრუნველყოფს სამუშაო დღეებსა და სამუშაო საათებში. ამასთან, კრიზისული ცენტრები დღესაც აწვდიან მომსახურებებს სავარაუდო

მსხვერპლებს, ანუ პირებს, რომლებსაც არ აქვთ დადგენილი მსხვერპლის სტატუსი. სავარაუდო მსხვერპლად პირის განსაზღვრას კი ახდენენ შიდა ინსტრუმენტით, რომელიც დამტკიცებულია სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მომსახურებებით სარგებლობის მიზნებისთვის მსხვერპლის სტატუსის გაუქმება არ ნიშნავს იმას, რომ ნიბისმიერ პირს შეეძლება თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობა, კანონპროექტი უფლებამოსილებას ანიჭებს თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის მომსახურების მიწოდებელს, რომ განსაზღვროს შესაბამისი კრიტერიუმები ან/და შეიმუშოს სპეციალური ინსტრუმენტი (მაგალითად, რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტი), რომლის საფუძველზეც მსხვერპლის მიერ თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში, როცა იგი არ თანამშრომლობს სამართალდამცავ/პროკურატურის ან/და სასამართლო ორგანოებთან, იღებს გადაწყვეტილებას მისთვის თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის მომსახურების მიწოდების ან მომსახურების მიწოდებაზე უარის თქმის შესახებ. შესაბამისად, ასეთი კრიტერიუმები/ინსტრუმენტი იქნება შესამუშავებელი, რაც უნდა უზრუნველყოს შესაბამისმა ორგანომ/ორგანიზაციამ. სახელმწიფო თავშესაფრების/კრიზისული ცენტრების შემთხვევაში სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოა უფლებამოსილი, განსაზღვროს ასეთი კრიტერიუმები ან/და შეიმუშაოს სპეციალური ინსტრუმენტი. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი დოკუმენტის/ინსტრუმენტის შემუშავების პროცესი უკვე დაწყებულია, გაეროს ქალთა ორგანიზაციის დახმარებით და უცხოელი ექსპერტის აქტიური მონაწილეობით შემუშავებულია დოკუმენტის პირველადი პროექტი და შესაბამისი სახელმძღვანელოც, რომლისთვისაც საბოლოო სახის მიცემა კანონის ამოქმედებამდე მოხდება.

კანონპროექტით იზრდება თავშესაფრის მომსახურებით სარგებლობის ვადა - 3 თვემდე ვადიდან 4 თვემდე. მიუხედავად ვადის ცვლილებისა, აღნიშნული გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, რადგან დღეს მოქმედი რეგულაციებიდან შესაძლებელია თავშესაფრით სარგებლობის ვადის გაგრძელება და მაგალითად სახელმწიფო თავშესაფრით სარგებლობა, შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაძლებელია 9 თვესაც კი წარმოადგენდეს (ხელშეკრულების გაგრძელებებით). 4 თვემდე ვადის გაზრდა უკავშირდება საქართველოში გავრცელებულ პრაქტიკას - მსხვერპლის მიერ თავშესაფრით სარგებლობის საშუალო პერიოდი 4-6 თვეს შეადგენს. როგორც თავშესაფრებთან დაკავშირებით ზემოთ აღვნიშნეთ, ბოლო პერიოდში თავშესაფრები მეტწილად სრული დატვირთვით ფუნქციონირებენ და ვადის ცვლილება არ გაზრდის ხარჯებს.

რაც შეეხება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელ ჯგუფს (შემდგომ - მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი), იგი შედგება სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი 12 წევრისგან და მათი საქმიანობა არ წარმოადგენს ანაზღაურებად საქმიანობას. შესაბამისად, აღნიშნული ჯგუფის გაუქმება არანაირ გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტზე.

„ოჯახის წევრის“ განმარტება ფართოვდება და ემატება „ინტიმური პარტნიორები“. აქამდე ისინი არ განიხილებოდნენ ოჯახის წევრად და მათზე არ ვრცელდებოდა პრევენციული მექანიზმები (შემაკავებელი და დამცავი ორდერები). ამ პირების მოქმედი კანონის მოქმედების ფარგლებში მოქცევის შედეგად, სავარაუდოდ, გაიზრდება სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების მიერ განსახორციელებელი აქტივობები მომართვიანობიდან გამომდინარე, რაც უნდა დაიფაროს ამ უწყებებისთვის/ორგანოებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო და საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტით არ დგინდება სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, ასევე კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებები (საშინაო და საგარეო ვალდებულებები).

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

კანონპროექტი უფლებამოსილებას ანიჭებს თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის მომსახურების მიწოდებელს, რომ განსაზღვროს შესაბამისი კრიტერიუმები ან/და შეიმუშოს სპეციალური ინსტრუმენტი (მაგალითად, რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტი), რომლის საფუძველზეც მსხვერპლის მიერ თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში, როცა იგი არ თანამშრომლობს სამართალდამცავ/პროკურატურის ან/და სასამართლო ორგანოებთან, იღებს გადაწყვეტილებას მისთვის თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის მომსახურების მიწოდების ან მომსახურების მიწოდებაზე უარის თქმის შესახებ. შესაბამისად, ასეთი კრიტერიუმები/ინსტრუმენტი ექნება შესამუშავებელი კერძო თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის მომსახურების მიწოდებელს. აღსანიშნავია, რომ დღეს მოქმედ კერძო თავშესაფრებსა/კრიზისული ცენტრებს აქვთ გარკვეული მოთხოვნები და კრიტერიუმები დადგენილი, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს ძალადობის მსხვერპლი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება შესაბამის ბიუჯეტში შესატანი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელი (ფულადი შენატანი).

ბ¹) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:
კანონპროექტი არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები. პირიქით, კანონპროექტის მიხედვით მოხდება საქართველოს მიერ რატიფიცირებული ევროპულ კონვენციასთან კიდევ უფრო დაახლოება (ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზება სტამბოლის კონვენციის დებულებებთან).

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ვალდებულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლობამ საქართველოში (UN WOMEN) და დაქირავებულმა ექსპერტმა ირმა ალადაშვილმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა..

ე) კანონპროექტის ავტორი:

ნინო წილოსანი

ნინო იობაშვილი

ხათუნა კვიციანი

მიხეილ სარჯველაძე

თეონა აქუბარდია

რამინა ბერაძე

რატი იონათამიშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

ნინო წილოსანი

ნინო იობაშვილი

ხათუნა კვიციანი

მიხეილ სარჯველაძე

თეონა აქუბარდია

რამინა ბერაძე

რატი იონათამიშვილი